ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 48

კვირა, 3 მარტი, 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 48

კვირა, 3 მარტი, 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ., მეოთხეზედ—5 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

კვირას, 10 მარტს, 1902 წ.

ვ. ალ. აბაშიძის

ქართულ სცენაზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად

სადღესასწაულო წარმოდგენა

დილით:

დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათ.

წარმოდგენილი იქმნება სცენაზე თავ. გ. ერისთავის კომედიიდგან „გაყრა", თვითონ იუბილარისა და მთელის დასის მონაწილეობით; დასასრულ, სადღესასწაულო მილოცვანი და სხვა.

საღამოთი:

დასაწყისი 8 საათზედ.

მესამე მოქმედება გოგოლის კომედ. „**რევიზორი**", მეორე მოქმედ. ავ. ცაგარლის კომედ. „**ხანუმა**", მესამე მოქმედება მოლიერის კომ. „**მუზმუზელა**" და მესამე მოქ. სუნდუკიანცის კომედიიდან „**ხათაბალა**" დასასრულ **აპოთეოზი**.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

დრამ. საზ. გამგეობის ადმინისტრაცია

(უ.)

ექიმი
ვახტანგ ლამზაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე, რეუტის ქუჩა, № 24.

(წ.)

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისსა და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

(წ.)

ბ-ნთ წევრთ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისას სთხოვენ მობრძანდნენ **წლიურს კრებაზედ,** რომელიც მოხდება სამშაბათს, 5 ამა მარტს, საღამოს 8 საათზედ.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) 1901 წლის საზოგადოების მოქმედების ანგარიში.

2) ანგარიში ტფილისის საბაღოსნო სკოლისა 1901 წლისა.

3) მოკლე ანგარიში კავკასიის გამოფენისა.

4) ა. ა. ქალანთარის მოხსენება: „საზოგადოების მომავალ მოქმედების შესახებ".

კრებაზედ გარეშეთაც შეუძლიანთ დასწრება.

(2—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница — д-ра Навасардiана Тифлисъ, противъ памят. Воронцову. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

•ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა). კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ლამზაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტერიოლოგო გამოკვლევანი.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ

კვირაობით:

გ. გ. მალალაშვილი—10—12 საათ. შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ფელეტონი

სადღეისო წერილები *)

ერი და ეროვნული პრინციპი.

III

(დასასრული)

სახელმწიფო ფორმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის თვით-მოქმედებისა და ხასიათის შემუშავებისათვის. ინგლისის პარლამენტარიზმმა მრავალ საუკუნეში თვისის ზედ-გავლენით შექმნა ინგლისური სული დამოუკიდებლობისა და თვით-მოქმედებისა, ინგლისელის მხნეობა, სიყვარული თავისუფლებისა და თვითმმართველობისა, ინდივიდუალიზმი. საფრანგეთის ავტოკრატულმა მონარქიამ იმდენად ღრმად ჩაუნერგა ფრანგებს გულში ცენტრალისტური და ცეზარისტული რეჟიმი, რომ ამდენ რევოლუციებისა და ცვლილებათა შემდეგაც დღევანდელმა საფრანგეთმა ვერ შესძლო თავი გაენთავისუფლებინა მაგ რეჟიმისაგან. „შეურიგებელნი, მონარქისტები, რადიკალები, სოციალისტები, სწერს ერთი მწერალი: ერთი სიტყვით, სხვა-დასხვა დოქტრინის დამცველნი სხვა-და სხვა სახით ეტრფიალებიან ერთს საგანს,—რომ სახელმწიფომ შთანთქას ინდივიდი. ჩინელების ზნეობრივის დასუსტების ერთი უმთავრესი მიზეზია მათის მთავრობის რეჟიმი, რომელიც ათასის წლის განმავლობაში აწესრიგებდა ცხოვრების ყოველსავე მოვლენას, გზას არ აძლევდა ინდივიდუალურს გამბედაობას, აღიარებდა უთუო მცნებად მთავრობის მორჩილებას და მონობას, და რომელმაც ხალხს მოუსპო ამ გვარად სრულიად ენერგია. თუ ხალხს გარშემო მტრები არ ახვევია და მისთვის შესაძლებელია მშვიდობიანი ცხოვრება, თუ ხალხში სამხედრო ელემენტზე მეტი სამრეწველო ელემენტია (ირღვევა მონური წარმოება, მყარდება ბატონ-ყმური, მერე ხელოსნური, კაპიტალისტური), მაშინ ურთიერთობათ, როგორც ინდივიდების ურთიერთთ შორის, ისე მათ და მთავრობის შორის, ექნება თავისუფალი ხასიათი; აქ ცოტა იქნება პრივილეგით მოსილი და მუქთა-ხორა, სავალდებულოდ და უფასოდ სხვებისთვის მომუშავე, აქ ერთი ადამიანი არ იქნება მეორეს მონა (იურიდიულად მაინც). ასეთივე თავისუფლება დაემჩნევა კაცების და ქალების ურთიერთობას და დედმამისა და შვილების დამოკიდებულებას. სპენსერის სიტყვით, ქალის მდგომარეობა უკეთესია სამრეწველო ინგლისში, ვიდრე სამხედრო გერმანიაში; ინგლისში შვილების და მშობლების ურთიერთობა მეგობრულია და იქ შვილები ადრე იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

სახელმწიფო რეჟიმთან მჭიდროდ არის დაკავშირებული აღზრდის სისტემა: ინგლისელი პედაგოგები მეტს ყურადღებას აქცევენ ხასიათის შემუშავებას, ვიდრე ცოდნის შეძენას. „მე ვცდილობ რკინა ჩავუდულო გულში შეგირდსაო," სთქვა ერთმა ინგლისელმა მასწავლებელმა. ამის შედეგი ადვილად წარმოსადგენია.

ერის ენა არის ერის შემეცნება ქვეყნიერობის შესახებ; ამაშია ენის დიდი მნიშვნელობა, როგორც ეროვნულის სულიერ აგებულობის ფაქტორისა და მისის სტრუქტურის გამომხატველისა. ენა გამოჰხატავს წესს აზროვნობისას და ზედმოქმედებს აზროვნობის ამა თუ იმ წესზედ, არის იარაღი სულიერ ურთიერთობისათვის *), ჰპადავს მეგობრულ კავშირს ერთს ენაზედ მოლაპარაკეთა შორის. თუ ენა იარაღია აზრთა და გრძნობათა შეცვლისათვის, საშუალება ურთიერთ ზედგავლენისათვის, სოციალურ პროგრესის ამმოძრავებელი, ასეთი იქნება ესა თუ ის ენა, რომელიც ესმის განსაზღვრულ ჯგუფს ადამიანებისას. ურთიერთობა აზრთა და გრძნობათა, ერთმანეთზე ზედგავლენა, სოციალური წინსვლა შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, ვისაც ერთმანეთისა ესმით რამე, ვისაც ერთმანეთის გაგება შეუძლიან. არ არის საზოგადოება იქ, სადაც არ არის ურთიერთობა, არ არის ურთიერთობა იქ, სადაც არ არის ერთმანეთის გაგება. ერი არის საზოგადოება, და რომ ადამიანებს შეეძლოთ ამ გვარის საზოგადოების-ერის შედგენა, უნდა ჰქონდეთ საერთო ენა.

ენა როდია პირობით დადებულ ხმათა შეერთება, რომლის შემწეობითაც ვითომ ადამიანთა ჯგუფმა განიზრახა თავის წარმოდგენათა აღნიშვნა. იმის დაგვარად, როგორც წარმოდგენანი შესდგება ადამიანის ორგანიზმის და გარემო ბუნების ვითარების თანახმად, ამგვარადვე ამა ვითარების ზედგავლენით წარმოდგენანი გარდაიქმნება ხმებად. სიტყვა და ხმა რაიმე შემთხვევისა და თვითნებობის ნაყოფი-კი არ არის, არამედ ის წრე, ის ვითარება, რომელშიაც სცხოვრობს ხალხი, აიძულებს ხალხს გამოხატოს, გამოსთქვას თავისი შთაბეჭდილებანი, გრძნობანი, აზრები განსაზღვრულ ხმებით. ყოველივე სიტყვა ენისა, არამც თუ აღნიშნავს მხოლოდ საგანს, როგორც იარლიკი მინერალოგიურ კაბინეტში, არამედ იგი არის პირდაპირი შედეგი ერის სულიერ ცხოვრებისა და შემოქმედებისა. ენაში გარდაიქმნება ხმებად, აზრებად, სურათებად ადგილობრივ ბუნების მოვლენანი: „ცა სამშობლოსი, მისი ჰაერი, მისი ჰავა, მისნი მინდორ-ველნი, მთანი და ტყენი, მდინარენი და ღელენი, ელვა-ჭექანი, წვიმა და ქარიშხალი" (უშინ-

---

*) იხ. „ივერია" № 45.

*) არა იარაღი, არამედ თვით სულია ერისა, მისი აზრია, მისი ჭკუა-გონება. როგორც უსიტყვოდ ცნება არ არსებობს, უწინადადებოთ აზრი, ისე უენოდ—ერი. ცოტა ქვემოდ თვით ავტორის მიერ მოყვანილი აზრი უშინსკისა უფრო ცხად-ჰყოფს ამას. რედ.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ორმოცის წლი სამღვდელმთავრო მოღვაწეობა.

> „ვინც მხარში უდგას თავისს მამულსა,
> სულს უწყლავს მისი გულის ტკივილი
> და ებრძვის მასთან ერთად შავ-ბედსა,
> ის არს ნამდვილი მამულის შვილი“.

1862 წელს 4 მარტს ხელდასხმულ იქმნა მღვდელმთავრად მაშინ ახალგაზრდა, ჯანით და ღონით აღსავსე არქიმანდრიტი ალექსანდრე, აღჭურვილი უმაღლესის საღვთის-მეტყველო განათლებით.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე გორის მაზრაში დაიბადა 1824 წელს, ღვთის მოყვარე მღვდლის დავით ოქროპირიძის სახლში და სახელად ალექსი ეწოდა... საშუალო განათლება მომავალმა მწყემსთმთავარმა მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში და უმაღლესი საღვთის-მეტყველო განათლება-კი ყაზანის სასულიერო აკადემიაში. აკადემიაში შესვლისას უკვე ბერდიაკონი იყო...

ყაზანის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ 1862 წლამდის იგი ჯერ მღვდელ-მონოზნის და შემდეგ არქიმანდრიტის ხარისხით მოღვაწეობს დასავლეთს საქართველოში: აფხაზეთის და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. აფხაზეთში ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ფრიად ნაყოფიერად მოღვაწეობდა სამისიონერო სარბიელზედ 1869 წლამდის, როდესაც გადმოყვანილ იქმნა ქართლ-კახეთის ეპარქიის ქორ-ეპისკოპოსად გორის ეპისკოპოსის წოდებით. 1869 წლიდგან 1898 წლამდის ამ თანამდებობაში იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში 1882—1886 წლებში ყოვლად-სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპარქიას განაგებდა, ხოლო 1898 წელს უწმიდესის სინოდის მიერ დანიშნულ იქმნა გურია-სამეგრელოს მღვდელმთავრად ეპისკოპოსის გრიგოლის მაგივრად.

ხანგრძლივი სიცოცხლე ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრესი შემკულია მრავალის ნათლით მოსილის ღვაწლით მშობლიურ ეკლესიის სასარგებლოდ... მას მხურვალედ შესტკიოდა და შესტკივა გული ქართველ მოძმე ერისა და მისის ეკლესიისათვის. მთელი თვისი სიცოცხლე, სულიერი ნიჭი, ძალ-ღონე და ნივთიერი ქონება ამსხვერპლა უანგაროდ თავისს მშობელს და აღმზრდელს საქართველოს მართლმადიდებელს ეკლესიას.

იავისის კურთხეულის მარჯვენით ნანგრევთაგან აღადგინა ძველად შესანიშნავი შიო მღვიმელის და იოანე ზედაზნელის მონასტრები: პირველს 21,000 და მეორეს 11,700 მან. შესწირა. ამ ფულის სარგებელი ჰხმარდება ხსენებულ მონასტრების საჭიროებას. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ყოვლად-სამღვდელომ პირველს მონასტერს, რომლის ერთი ეკლესია წმ. შიოს საფლავზედ კიდეც განაახლა და დღეს აახლებს სამონასტრო დიდს ეკლესიასაც, აღშენებულს წმ. მეფის დავით აღმაშენებლის მიერ. დღეს ამ მონასტერში ქართული წირვა-ლოცვა ისმის ქრისტიანთა სანუგეშოდ. ამას გარდა, მცხეთის თორმეტთა მოციქულთა საპატრიარქო ტაძრის განსაახლებლად 1,500 მან. გადასდო... სხვა მრავალ ძველის ტაძრისა და მონასტრის განახლების საქმესაც ყოვლად-სამღვდელომ უხვი ნივთიერი დახმარება თვისთა საშუალებათაგან აღმოუჩინა როგორც ამერეთსა, ისე იმერეთში.

ტფილისის სასულიერო სემინარიას და საეპარქიო დედათა სასწავლებელს ყოვლად-სამღვდელომ შესწირა 5,000 მ. სტიპენდიების დასაარსებლად; 2,000 მან. ქართულ საეკლესიო გალობის ნოტებზედ გადაღებას მოახმარა; 2,000 მანეთამდის შესწირა ქართლ-კახეთის ეპარქიის სიძველეთ-საცავს შესანიშნავ ქართულ ხელთ-ნაწერების დასაბეჭდად.

მათმა მეუფებამ თვისის ხარჯით დაბეჭდა საუკეთესო ნაშთები ძველის ქართულის მწერლობისა: „მზა-მეტყველება“ და „სწორ-მეტყველება“ ანტონი კათალიკოზისა; ქართული ლექსიკონი „საბა-სულხან-ორბელიანისა,“ „ხმა ცოდვილისა ღვთისადმი“ ავალიშვილისა, „სიტყვანი და მოძღვრებანი“ ამბროსი ნეკრესლისა და სხვა.

მათმა მეუფებამ განიზრახა ამ ბოლოს დროს გურია სამეგრელოს ეპარქიაში საეპარქიო დედათა სასწავლებლის დაარსება... ეს სასწავლებელი ძლიერ ეჭირვება გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებას.

მოკლე წერილში არ შეიძლება მათის მეუფების მოღვაწეობის დაწვრილებით აღნუსხვა და დაფასება. საქართველოს ეკლესიის მომავალი მეისტორიე დააფასებს მათის მეუფების მრავალ-ნაყოფიერს მოღვაწეობას ქართულს საეკლესიო სარბიელზედ .. ფრიად სანუგეშოა ჩვენთვის ის გარემოება, რომ ამ ჩვენს გათახსირებულს დროში, ოდეს დარბაისლურ საქმიანობის სიყვარულით გამსჭვალულ მამულის შვილების რიცხვი საქართველოში ფრიად მცირეა, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე სამშობლოს ციდგან სხივცისკროვანი ვარსკვლავისავით უგზავნის საკეთილო მოღვაწეობის და მაღალ სათნოების შუქს ჩვენის ხალხის დაქუცმაცებულს და გათახსირებულს ცხოვრებას . ჭეშმარიტად მათს მეუფებას შეუძლიან თავისს თავზედ სთქვას, რომ სიყრმიდგან ღრმა მოხუცებულებამდის არ უღალატნია თვისის დანიშნულებისათვის და პირნათლად აღუსრულებია თვისი სამამულის-შვილო მოვალეობა

თუზბიტელი.

ახალი ამბავი

—

*** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თაოსნობით გუშინ ქართველ კათოლიკეთა ღვთის მშობლის მიძინების ეკლესიაში გარდახდილ იქმნა დაბადების ასის წლის თავის წირვა და პანაშვიდი ჩვენის ქვეყნის ისტორიკოს-არქეოლოგოსის განსვენებულის მარი ბროსსეს სულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ: ეპ. კირიონი, წარმომადგენელნი ყველა ქართულ საერო და სასულიერო დაწესებულებათა, საფრანგეთის კონსული, ტფილისის რედაქციებისა, სამეცნიერო საზოგადოებათა და აუარებელი ხალხი.

აწერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარემ თავ. ილ. ჭავჭავაძემ საფრანგეთის საერო განათლების მინისტრს ამის გამო შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„დღეს მრავალ ხალხისა და საფრანგეთის კონსულის თანადასწრებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაახდევინა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში დაბადების ასის წლის თავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა ფრანგის ბროსსესი, პარიჟის აზიურ საზოგადოებისა და რუსეთის აკადემიის წევრისა, საქართველოს უწარჩინებულესის ისტორიკოსისა და საქართველოს ისტორიის გამავრცელებლისა მსოფლიოდ ფრანგულის ენით. საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისთვის. სალამი საფრანგეთს.

თავადი ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოებისა.

*** ქალაქის გამგეობასავით ჩვენს აქაურს სასულიერო მთავრობასაც განუზრახავს საკუთარი სტამბის დაარსება ქართულ საეკლესიო წიგნებისა, „სასულიერო მოამბისა“ და საექსარხოსოს სხვა სასტამბო საქმეების საბეჭდავად.

*** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის ტფილისის ერთ-ერთს ქუჩათაგანს დაერქვას სახელი განსვენებულის ისტორიკოს-არქეოლოგოსის მარი-ბროსსესი, რომელსაც დიდი სამეცნიერო შრომა მიუძღვის ჩვენის მხრის წინაშე. ევროპიელთაგან მან პირველმა აიღო ჩვენის ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა სამეცნიეროდ შესწავლის სპეციალურ საგნად და მიიპყრო მთელის განათლებულ ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება.

*** სათანადო მთავრობის განკარგულებით ახალციხის მაზრაში შემოუღიათ საერთო წესდება ტყით სარგებლობისა, როგორც რუსეთის დანარჩენ გუბერნიებში. ამ ახალის წესდებისამებრ, აწყურის საზოგადოების სოფლებს აწ შეეძლებათ ტივები შეჰკრან და მტკვრით წაიღონ გასასყიდად.

*** აქამომდე „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ საბჭოს წევრად ნიშნავდნენ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორებს... როგორც ვიცით, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის სტეფანეს გადაყვანის შემდეგ, რომელიც ამ საბჭოს წევრად იყო, განთავისუფლდა საბჭოში წევრობის ადგილი... ამ რამდენისამე დღის წინად საბჭოს წევრის თავისუფალს ადგილზედ დანიშნულ იქმნა საქართველოს ექსარხოსის მიერ ვლადიმერ ნიკოლოოზის ძე ოსეცკი, საქმის მწარმოებელი მთავარ მართებლის კანცელარიისა.

*** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ 1901 წელს დეკემბრის 22 დღეს გამართულის კონცერტისაგან შემოვიდა: ბილეთებისა 1067 მან. 32 კაპ., კონფეტებისა 212 მან. 16 კაპ., პრემიები 80 მან., სულ 1359 მან. 48 კაპ. დაიხარჯა: ტფილისის საკრებულო დარბაზის ქირა 100 მან., საბილეთო მარკებისა 37 მან. 10 კაპ., როიალის გადასატან-გადმოსატანი 35 მან., მომღერალ არტისტებს 60 მ.,

---

სკი). ენის სალაროში, მის ხმებში, სტრუქტურაში გამოიხატება „მთელი ისტორია ერის სულიერ ცხოვრებისა; ენაში სტოვებენ თაობანი ერთი მეორის შემდეგ ნაყოფს — გულის ღრმა მოძრაობისას, ისტორიულ მოქმედებისას, რწმუნებისას, აზრისას, სტოვებენ კვალს გამოვლილ სიხარულისა და მწუხარებისას.“ ერთის ერის წევრთ ესმით ერთმანეთი, ესმით თავიანთი წინაპრები, რადგან ყოველივე სიტყვა, რომელიც გამოჰხატავს დღევანდელს წარმოდგენას, ჩაისახა წარსულის დროის ანალოგიურს შემთხვევაში და განვითარდა, გაიზარდა ერთან ერთად. ერი საუკუნოებით შეეთვისა თავისს ენას და ენა—ერის ორგანიზმს და ამ გვარის შეთვისებისა გამო ისინი ერთმანეთს გამოჰხატვენ. ენა, როგორც სხვა ყოველგვარი გონებრივი ძალი, არის შედეგი დაკვირვებათა და გამოცდილებათა, რომელთაც შესცვალეს თავის შესაფერისად ტვინის უჯრედები (აპარატები) და მისცეს მათ განსაზღვრული სტრუქტურა; ამიტომ მხოლოდ დედა ენის ხმები გამოიწვევს სწორს და სრულს შთაბეჭდილებასა და რეაქციას ადამიანის ორგანიზმში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ენას მწერლობის შემწეობით, რომელიც ასპარეზია ეროვნულ ძალღონის გამოსაჩენად, და მწერლობის დაბადება არის ყოველთვის მეორე დაბადება ენისა; მაშინ ენა უფრო მტკიცდება და ვითარდება ხალხში. ჩვენი მწერლები გვიხატავენ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს გმირებს, ჩვენს იდეალებს დედა-ენაზედ; მაგ ენაზედ ჩვენი მეცნიერები და სწავლულები გვიხსნიან ჩვენს გულის ტკივილს და საჭიროებას, გვიჩვენებენ ახალს გზას, გვინათლებენ გონებას ჭეშმარიტებისა და სიმართლისადმი სიყვარულით, და უფრო გვიყვარს ის ენა, რომელთანაც გვაერთებენ ასეთი ძვირფასი ასსოციაციები; ამიტომ იგი სრულიად შეუსისხლხორცდება ხოლმე ჩვენს ეროვნულს პიროვნებას.

ყველაზედ უმთავრესი ფაქტორი ეროვნულის სულიერის აგებულობისა არის „საერთო ისტორიული ბედი, ერთი ეროვნული ისტორია, —მაშასადამე, ერთობა მოგონებათა, დიდებისა და განსაცდელისა, სიხარულისა და მწუხარებისა“ (მილლი). ადამიანები ერთად იბრძოდნენ საკუთარ მიწა-წყლისათვის, მათ მიერ აღსარებულ სარწმუნოებისათვის, უკვე არსებულ უფლებათა დასაცველად და მოსაპოვებლად ახალისა და ამ ერთად ბრძოლამ და ერთად შრომამ შეაკავშირა ისინი. საერთო სიხარული, მაგრამ უმთავრესად საერთო მწუხარება გვავიწყებს რასულს და სხვა განსხვავებას, ენის განსხვავებასაცკი და ჩვენ თანავუგრძნობთ, თითქმის გვიყვარს ის ადამიანი, რომელიც ჩვენსავით იტანჯება, სულიერი ნათესაობა იბადება ჩვენსა და იმათ შორის, რომელნიც ჩვენსავით ბედისაგან არიან დაჩაგრულნი. თუ ერთად აღვსდგებით ორივეს მჩაგვრელ უღელის მოსასპობლად, ერთად ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ და ეხლა ვსტკბებით ერთად მოპოვებულის ბედნიერებით, ჩვენი ერთობა და ნათესაობა უფრო იზრდება, უფრო მეტის თანაგრძნობით გვიცემს ორივეს გული ურთიერთისადმი, იმიტომ რომ ერთად ვიტანჯებოდით, ერთად ვმუშაობდით, ერთად ვხარობდით და ვმხიარულობდით; საერთო საქმისათვის დანთხეული სისხლი გვაკავშირებს და საერთო ბედნიერება ამაგრებს ამ კავშირს.

საერთო წარსულში ჩვენ გვიჩნდება საზოგადო ჩვეულებანი, შეხედულობანი, საერთო გმირები, საერთო მაგალითები, იმედები და იდეალები; საერთო წარსულში ჩვენ ვპოვებთ საერთო გონებრივს და ზნეობრივს ძალას. ერთმა წარსულმა შეჰქმნა ერთი აწმყო, იგივე გვასურვებინებს ერთ მომავალისადმი მისწრაფებას. „წარსულისაგან დავიმკვიდრეთ დიდება და მწუხარებანი, ამბობს რენანი; მომავალშიც იგივე პროგრამმა გვაქვს: ერთად ტანჯვა, სიხარული და იმედი“.

ჩვენ დავასახელეთ მოკლედ ეროვნულის სულის ჩამდგმელნი ძალნი. ახლა აღვნიშნოთ ის უმთავრესი პირობანი, რომელნიც ახასიათებენ ამ ძალთა მოქმედებას.

ბუნება, რელიგია, მთავრობა, ენა, ისტორია—ყოველთვის არ ჰმოქმედებს ერთად. ხან-და-ხან განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ზოგიერთ ამა თუ იმ ფაქტორს, სხვებს კი ან ცოტა აქვთ მნიშვნელობა, ან სრულებით არავითარი. მაგ., როგორც უკვე ვსთქვით, ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიას ებრაელებისათვის, რელიგიას და ისტორიას (საერთო ტანჯვას და მწუხარებას) ირლანდიელებისათვის; შვეიცარიის ერი შესდგება სამს ენაზედ მოლაპარაკეთაგან; ირლანდიელები, ინგლისელები, ამერიკელები ლაპარაკობენ ერთს ინგლისურს ენაზე. მაგრამ, უეჭველია, უფრო სრული ერთობა ეროვნულის სულისა, მეტი ეროვნული თავისებურობა იქნება იქ, სადაც ჰმოქმედებს ერთად ყველა ზემოხსენებული ძალა.

ჩვენმა ფაქტორებმა რომ შეჰქმნან ერთობა გრძნობათა, იდეათა და რწმენათა და მისცეს ხალხის სულიერ აგებულებას ერთიანობა და სიმტკიცე, აუცილებლად საჭიროა მათი მოქმედება დიდის ხნის განმავლობაში; მათი გავლენა მხოლოდ მაშინ იქონიებს ჭეშმარიტს ზედმოქმედებას, როდესაც მემკვიდრეობა მრავალ საუკუნის განმავლობაში შეაგროვებს ამ გავლენას.

ხსენებულ ძალთა მოქმედებისათვის აუცილებლად საჭიროა აგრეთვე შესაფერი ნიადაგი. მათ შეუძლიანთ შეჰქმნან ერთი ეროვნული სული სხვა-და-სხვა ტომის ადამიანთა შორის და შეაერთონ იგინი, მაგალ., საფრანგეთის ერი შესდგება კელტურ, იბერულ და გერმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკისა 35 მან., საკრებულო დარბაზის კიბეების მოსართავი 20 მან., მეზურნეებს 10 მ., განცხადებათა და აფიშების დასაბეჭდი და უკანასკნელთა გასაკრავი და დასარიგები 23 მ. 50 კ., თაიგულებისა და სხვა-და სხვა ნივთებისა 53 მან. 20 კაპ. და სხვა-და სხვა წვრილმანი ხარჯი 25 მან. 57 კაპ., სულ 399 მან 37 კაპ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 960 მან. 11 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა თავისს მოვალეობად ჰსთვლის უღრმესი მადლობა უძღვნას სალამოს გამგებელ დიასახლისებს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას და ქ-ბს ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას, კონცერტში მონაწილეობისათვის: ქ-ბს ა. ი. თულაშვილისას, ქ-ბს ო. ვ. შულგინას; ბ. ე. გ. ბროდეის, ბ. ფ. კ. კესნერს, ბ. ვ. ს. დობროხოტოვს, ბ. ნ. დ. კოვალენსკის; პრემიების შემოწირვისათვის: თ. კ. ი. მუხრან-ბატონს, პ. კ. ზუბალაშვილს, კნ. მარიამ ს. არღუთაშვილს-მხარგძელს, კნ. მარიამ ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანს, კ-ნ. ქეთევან ჯ. ამირაჯიბს და უფასოდ განცხადებათა დაბეჭდვისათვის „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს.

⁂ ახალი წევრი სინოდალურ კანტორისა მამა არქიმანდრიტი გიორგი ალადოვი დანიშნულ იქმნა იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის წინამძღვრად...

⁂ გუშინ ტფილისის სამხედრო საკრებულო ტაძარში ქალაქის თვითმმართველობამ გოგოლის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდიხადა. პანაშვიდს დაესწრნენ: გუბერნატორი სვეჩინი, ქალაქის ყველა სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები, ქალაქის თავი შესტაკოვი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი, სახალხო სკოლების ინსპექტორი პავლოვი და საბჭოს ზოგიერთა ხმოსნები. პანაშვიდის დასასრულ გუბერნატორმა, ქალაქის თავმა, ზავადსკიმ და პავლოვმა დაუარეს მოსწავლეებსა და სალამი მისცეს.

⁂ თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი დავითი (კაჭახიძე) გადაყვანილ იქმნა ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებელში ინსპექტორის თანამდებობაზედ. ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი სოკალსკი დანიშნულ იქმნა გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად მ. ა. დობრონრავოვის მაგივრად, რომელიც გადმოყვანილ იქმნა ტფილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანამდებობაზედ.

⁂ პარასკევს, სადამოს, 1 მარტს, ექსარხოსის ეკკლესიაში აღკვეცილ იქმნა ბერად ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებელი ღვთის-მეტყველების კანდიდატი ნიკოლოზ ნამორაძე, რომელსაც ბერობის სახელად არჩილი ეწოდა.

იმერეთის ამბები:

⁂ **ს. ხარაგაული** (შორაპნის მაზრა): 19 თებერვალს, ღამის 2 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ი. ნ. ნემსაძის სახლს, სადაც იმ დროს ეძინა მას ცოლ-შვილით და ერთს მისს სტუმარსაც. ცეცხლი, როგორც ამბობენ, ბუხრიდგან გაჩნდა და როდესაც ნახევარ სახლს მოედვა, მაშინ გამოეღვიძა სტუმარს და ყველა საჩქაროდ გაიღვიძა. ყველა კარში გამოცვივდა. ამ დროს ოჯახის პატრონს მოაგონდა თავისი ორი პატარა ბავშვი, რომელთაც ეძინათ სახლში, მაგრამ შიგ შებრუნება ვერავინ გაბედა. ბოლოს დედ მამის საცოდავობისაგან აღძრული ბ-ნი სავანელი შევარდა სახლში და რამდენისამე წამის შემდეგ უვნებლად გამოიყვანა ორივე ბავშვი. ერთიანად დაიწვა ორი სახლი ავეჯეულობით, ახლო ბელლები ჭინახულით სავსე. ზარალი 6,000 მანეთზე მეტია ვარაუდით.

მეორე დღეს პრისტავი მოვიდა, ოქმი შეადგინა და ბ-ნი სავანელი თავგანწირულობისთვის ჯილდოზე წაადგინა.

⁂ **ტყიბულა**: ძალიან შეწუხებულია ხალხი მით, რომ ტყიბულის შტოზედ მატარებლების მიმოსვლა შეიცვალა და დღისით-კი არ მოდის აქ მატარებელი, არამედ ღამის 11 საათზედ. ტყიბულაში არავითარი ბინა არ არის და მოსვლელმა ხალხმა არ იცის, სად გაათიოს ღამე. ძალიან კარგი იქნება, რომ რკინის გზის მთავრობა მიაქცევდეს ამ გარემოებას ყურადღებასა და ისევ წინანდებურად დასტოვებდეს მატარებლების მისვლა-მოსვლას.

23 თებერვალს აქ უბედურება დატრიალდა: გაქანებულ მატარებლიდან გადმოვარდა ღამე ხრესილში მცხოვრებელი გ. ობოლაძე და ძალიან დაშავდა. მორჩენის იმედი არა აქვთ.

⁂ სოფ. **ზვარე** (შორაპნის მაზრა): ამ სოფელში აქამომდე სკოლა არ არსებობდა და სოფლის გლეხთა შვილები ვერ დადიოდნენ მოლითის საზოგადოების სამინისტრო სკოლაში სიშორის გამო. ზვარის მღვდელმა მამა ფარნაოზ ვეფხვაძემ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და ამ წელს დააარსა წერა-კითხვის სკოლა, რომელშიაც ამ ჟამად ორმოცი ბავშვი სწავლობს. ამავე მღვდლის მეცადინეობით სოფ. ზვარის სამრევლოში აშენებულ იქმნა ორი მშვენიერი ეკკლესია.

დაბა და სოფელი

—

თრიალეთი. ეს ორი წელია მოსავალმა ძალიან უმტყუნა თრიალეთს. შავი-მიწა, ნანგრევებით გაპოხიერებული და სისხლით მორწყული, თანაც ხანგრძლივ დასვენებული დიდ მოსავალს იძლეოდა აქამომდე, ისე დიდს, როგორც არსად სხვაგან ჩვენში. იმიტომ, როგორც ნანგრევებზედ შერჩენილი ქართველობა, ისე ნაოხრებზედ მოსული და დასახლებული თათრობა, დუხაბორობა, ნემეცობა, სომხობა, ოსობა ივსებოდა სულადით. საზაფხულოდ ამოსული მწყემსობა საძოვრებზედ იაფად ყიდულობდა ამათგან ქირნახულს; ხოლო საიდანაც-კი გზები ხელს აძლევდნენ იქიდან ქალაქშიაც დიდ-ძალი პური და ქერი ჩამოჰქონდათ გასასყიდად. ს. ქვეშის, კიანეთის, ჯალდის, ყალამშიის და სხვა სოფლის ხორბალი შინდის კურკის ოდენა იყო და ამიტომ კაი ფასადაც იყიდებოდა. თრიალეთმა არ იცოდა, რა იყო დამშევა, მაგრამ ამ ორმა წელმა მოუსავლობით ყუაზედ გაიყვანა. დღეს პურის სასყიდლად ყარსში, ქართლში და არტაანისკენ მიდის ხალხი. დიდი გაჭირვებაც დაადგა ხალხს:—უგზოობის გამო მრავალი ცხენი, დატვირთული სურსათით, მიდის და მოდის სამი და ოთხი დღის სავალზედ. სიმინდი, ვენახები აქ არაა. ამიტომ პურის სასყიდლად საქონელი უნდა გაჰყიდონ. საქონელი აქ უმთავრესი წყაროა ცხოვრებისა. მდიდარი მოლი დიდ-სარგებლიან საქმედ ჰხდის საქონელს, ცხვარს. მაგრამ უბედურობა ისაა, რომ თვით საქონელსაც ქირი გაუჩნდა. ბეითალებმა შეჰკრეს გზები და მკვიდრი ვეღარც საქონელს ჰყიდის. ქირნახულის დაფქვაც-კი გასჭირდა. გაჭირვება ძაან დიდია.

ბეითალნი თვიანთ ყარაულებით დიდად ავიწროვებენ მკვიდრს მოუფიქრებელ განკარგულებით. დუხობორებისა და ნემეცებისთვის უბრძანებიათ, ქალამნიანები არ შეუშვათ სოფლებშიო, ამიტომ ხალხს ცივ ზამთარში ქალამნებს ახდევინებენ, ან გარს უნდა შემოუარონ სოფლებს... ამასთან არც ცემა-ტყეპა აკლია ამათგან ხალხს: ერთ ახელ გლეხს ტყავი მოჰქონებოდა სახლში დიდი-ხნის გამშრალ-გამოსული, დაეჭირათ ბეითალის იასაულებს და ისე ეცემათ, რომ შინ ძლივ-ღა მოიყვანეს და, აი რამდენიმე კვირაა ლოგინსა ლესავს.

უგზოობა, უმეცრება და უპატრონობა აქურ მკვიდრთა საოცარია და საარაკო.

მთელის თრიალეთის ძირები ყველის მექარხნეთ დაიჭირეს და საზაფხულოდ საქონელს ასავალი გზები შეუკრეს. დიდი ფასი უნდა მისცე მექარხნეთ, რომ თავიანთ მამულზედ გაგიშვან. მექარხნენი სულ მოსული ხალხია. საუკეთესო იალაღები მათ აიღეს იჯარით, ან სყიდვით შეისყიდეს და მკვიდრი მეტად შეწუხდა უმამულობით. მექარხნეს ხელს აძლევს მეტ ფასად აიღოს მამული, მკვიდრი-კი, რომელსაც ძალიან ნაკლები გამორჩენა აქვს საქონლისაგან, ვერ იმეტებს დიდს იჯარას.

ეს მექარხნენი მეტის ზიზღით უყურებენ მკვიდრთ. გლეხს-კი არ მიჰყადიან თავიანთ კაი ჯიშის ხბოს და დაჰკლავენ-კი, ოღონდ იმასაც არ გაუჩნდეს კაი საქონელიო. ქარხანაში ხომ სულ არ უშვებენ — არ ისწავლონ ყველის კეთებაო. ხალხი მაინც ახერხებს და კაი ჯიშის საქონელს შოულობს. ყველის კეთების შესწავლა-კი არავის ეღირსა. ეს წესი კუჩენბახის შემოღებულია და საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება უდიდეს ჯილდოს მიცემას უპირებდა.

სწავლას, სადაც-კი მოხერხდა, მეტად შეეთვისა აქაური ხალხი. გომარეთში, გარდა პატარებისა, 40-მდე დიდი კაციც სწავლობს წელს შუადღის უკან... მაგრამ სკოლები ძალიან ცოტა გვაქვს. გზები, სკოლები, ყველის კეთების შესასწავლად ფერმა—აი, ამ ქვეყნის საჭიროებანი. მაზრის უფროსი არ დაგვიდგა დიდის ხნით—ყოველ წელს თვითო გვეცვლება, ამიტომ ამ მხრივ არა კეთდება-რა... ეხლა ბ-ნი ჯანდიერი ასრულებს ამ თანამდებობას. კარგი იქნება იგი დანიშნონ სამუდამოდ ამ თანამდებობაზედ. მაშინ ბევრი რამ გვეღირსება.

მ. ზ. გ.

ნულ ელემენტებისაგან, გერმანიის ერი—კელტურ, სლავიანურ და გერმანულ ელემენტებისაგან, ინგლისის ერი—კელტურისა და გერმანულისაგან (რენანი); „თვით ებრაელთა ერი, რომელიც თითქოს ძლიერ განსხვავებულია სხვებისაგან, წარმოადგენს სულ სხვა-და-სხვა გვარ ტიპებს: ნეგრული სისხლიც-კი შეჰრევია მას“ (კაუტსკი). ტომებს (და თემებს) შეუძლიანთ ერთმანეთში შერევა, ერთს ტომს შეუძლიან შთანთქას მეორე ტომი; რასულს, ფიზიკურს შთამომავლობას მნიშვნელობა არა აქვს ეროვნულ სულიერ არსების შექმნაში. როდესაც ვლაპარაკობთ საერთო შთამოებაზედ, უნდა ვიგულისხმოთ საერთო ისტორიული შთამოება მხოლოდ და არა ფიზიკური. თითქმის არ არსებობს ერთის ტომის ერი; ყოველი ერი წარმოსდგა სხვა-და-სხვა ტომის შერევისაგან. მაგრამ ტომი და ერი სულ სხვა-და-სხვა საგანია და არასოდეს არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში. საუბედუროდ, ეროვნულ საქმის მნიშვნელობის უარყოფისათვის ხშირად ამბობენ და სწერენ, რომ ერნი სრულებით არ განსხვავდებიან ერთმანერთისაგან განსაკუთრებულის თვისებით, არამედ ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს და ადვილად ერთდებიანო; რომ ევროპის ყოველი ერი წარმოსდგა სხვა-და-სხვა ერის შერევისაგანაო და სხ. ნამდვილად-კი ევროპიულნი ერნი წარმოსდგნენ არა ერთა, არამედ ტომთა შერევითა და შეერთებითა. ტომისა და ერის შემეცნებათა არ განსაზღვრა ისეთივე შეცდომაა, როგორც არ განსაზღვრა და ერთმანერთში არევა გვარისა და გვარსხვაობისა *). ერს ახასიათებს უფრო მეტი სიმტკიცე, გამორკვეულობა და განკერძოება; ეროვნული თვისებანი უფრო ბევრია, ვიდრე ტომური და ერნი უფრო განსხვავდებიან ერთმანერთში, ვიდრე ტომნი. ამის გამო ერნი ვერ შეერევიან ერთმანეთს იმ გვარად, როგორც ტომნი; ერთი ერი ვერ შთანთქავს მეორეს. ყოველს შემთხვევაში, თუ ერნი უნდა გაერთდნენ ოდესმე (ამას უნდა მოველოდეთ), ეს ძლიერ შორეულ მომავალის საქმეა და მოხდება არა იმ ბარბაროსულის საშუალებით, რომელსაც ხმარობენ დღეს ზოგიერთ ერების შესახებ და არც იმ პირობით, როგორც წარმოდგენილი აქვთ შუბლ-ვიწრო „ერის მჭამელებს“, „ერთა-ყლაპიებს“...

ერთობა ფიზიკურის ვითარებისა, რელიგიისა, დაწესებულებათა, ენისა და ისტორიულ წარსულისა ჰქმნის საერთო სულიერ ატმოსფერას, ჰბადავს აზრთა, გრძნობათა, აზროვნების წესის, ხასიათის ერთობას, მაგრამ ეგ ჯერ კიდევ როდი შეადგენს ერს, როგორც ეს გვესმის ჩვენ. ეგ არის მხოლოდ „მატერია, რომელსაც შეუძლიან სიცოცხლე, მაგრამ რომლისთვისაც ჯერ არ შთაუბერიათ სული“ (მანჩინი), ე. ი. ეს არის ერი მხოლოდ პოტენციალურ მდგომარეობაში, თუ შეიძლება აგრე ვსთქვათ. ფსიხიურს ერთობას წარმოადგენს ტომიც, მაგრამ იგი როდია ერი. აუცილებლივ საჭიროა ახალი ელემენტი—ეროვნული თვით-შეგნება, რომელსაც ჰქმნის კულტურა და კერძოდ მწერლობა.

კულტურა ავითარებს და ამრავლებს იმ თვისებათ, რომელნიც აერთებენ და აკავშირებენ განსაზღვრულს ჯგუფს ადამიანებისას, აცალკევებენ სხვა, მზგავს ჯგუფებისაგან და აძლევენ გამოხატულობას, რელიეფობას და გამორკვეულობას. კულტურის შემწეობით ფართოვდება ჩვენი გონებრივი მხედველობა, მისის მეოხებით ნათლად ვხედავთ ჩვენს განსაკუთრებულს თვისებას, რომელიც ამის გამო უფრო მკვიდრდება ჩვენში. ამ როლს უმთავრესად ასრულებს მწერლობა, რომელიც არის ეროვნების სარკე. მწერლობაში ერი ჰხედავს თავისს სახეს და სცნობს თავისს თავს, თავისს ინდივიდუალურ „მეს“, სცნობს, რომ იგი არის ნაწილი კაცთა გვარისა, განსხვავებული სხვა ნაწილებისაგან.

ასე, რომ ერთის ერის ადამიანები არამც თუ ენათესავებიან ერთმანეთს თავისის ხასიათით, ტემპერამენტით, მისწრაფებით, აზრებით, არამც თუ წარმოადგენენ სულიერს ერთობას, ჯგუფს განსხვავებულს და გამოცალკევებულს, არამედ ამასთანავე შეგნებული აქვთ და წარმოდგენილი ეს ერთობა, ნათესაობა და გამოცალკევება, რის გამოც ნათესაობა და განცალკევება უფრო იზრდება და მკვიდრდება. ამაშია ერის განსაკუთრებული თვისება, რომლითაც იგი განსხვავდება ტომისაგან. რასაკვირველია, სუსტი და გამოურკვეველი თვით-შეგნება ტომშიაც არის, მხოლოდ უფრო განსაზღვრული თვით-შეგნება და უფრო ბევრი გამორკვეული და მტკიცე თვისებანი აქვს ერს.

მოკლედ რომ განვიმეოროთ, ერი არის შეგნებული სულიერი ერთობა და ნათესაობა, შექმნილი ბუნების, დაწესებულებათა, რელიგიისა, ენისა და ისტორიის მიერ, და ამგვარი ერი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც ბუნებას, რელიგიას და სხვა ფაქტორებს მიემატება კულტურის ზედმოქმედებაც.

ყველა კარგად ჰგრძნობს ეროვნულ თვისებათა თავისებურობას, მაგრამ მათი აღნუსხვა და ჩამოთვლა მეტად ძნელია, ისე, როგორც ადამიანთა ინდივიდუალურ თვისებათა აღწერა. დავკმაყოფილდეთ ახლა მაინც საზოგადო დახასიათებით და მხოლოდ ტენდენციების აღნიშვნით და განვიხილოთ, თუ რა შედეგი მოსდევს ფაქტს ერის არსებობისას.

კალამი.

---

*) Видъ и разновидность.

კავკავის ქართულ სკოლის სასარგებლოდ გამართულ საღამოს ანგარიში.

1901 წლის 26 დეკემბერს გაიმართა კავკავის ქართულ სკოლის სადგომში ამავე სკოლის სასარგებლოდ საღამო კონცერტითურთ, რომლისაგან შემოვიდა:

I	შემოწირულება —	213 მან. 50 კ.
II	ბილეთების გაყიდვისა.	538 მან.
III	ბუფეტიდგან —	721 მან. 80 კ.
	სულ	1473 მან. 30 კ.

გასავალი იყო:

I	ბუფეტის გამართვა-მოწყობა — —	242 მან. 23 კ.
II	მარკები, სადგომის მოწყობა ჲ განათება	104 მან. 91 კ.
III	ორი ორკესტრი, ზურნა, საზანდარი —	88 მან.
	სულ	435 მან. 14 კ.

წმინდა შემოსავალის დარჩა 1038 მან. 16 კ., რაც მიემატა სკოლის თანხას. ფულად შემოსწირეს:

თერგის ოლქის უფროსმა გენ., ლეიტ. ს. ტოლსტოვმა—5 მან. ანტონ ხიდაშელმა—20 მან., გრ. ლ. ქორქაშვილმა 15 მან., შესწირეს ათ-ათი მანეთი: მ. პ. ჯაფარიძემ, პ. ე. მარანდოვმა. ბ მარიაბულმა (პეტროვსკიდან), ბ. ო. ოგანოვმა, ს მ. კირაკოზოვმა, ბ. ლუკიანოვმა და თ. ალხაზოვმა. ხუთ-ხუთი მან.: კ. ას. ჰყონიამ, ალ. მ. სადრაძემ, სტ. ივ. ხოჯევატოვმა, ბ. კონჰუხიძემ, ბ. არტემოვმა, ბ. შანაევმა, ნოე გერ. გასუბიანცმა, ბ. კირეევმა, ბ. სიმონოვმა, ბ. ახვერდოვმა, ხრ. ანდ. ანდრეევმა, ბ. როზენბლიუმმა, ალ ვას ჰიჰინაძემ და ბ. მურატანდოვმა. სამ-სამი მან.: მღვდ. ნიკ. კანდელაკმა, ბ. დუგოვსკიმ, სპ. ან. ანდრეევმა, ბ. სერგეევმა, ბ. კუდრინსკიმ, ბ. კვარტანომ, ბ. ომაროვმა, ბ. ქალანთაროვმა ჲ ბ. ვახტანგოვმა. ორ-ორი მან.: ბ. გორსკიმ, ბ. დალგატმა და ბ. პოლკ. ვირუბავმა. ათი შაური, უცნობმა.

სულ 213 მან. 50 კაპ.

სასმელები და სანოვაგე შემოსწირეს: დავ. ზაქ. სარაჯიშვილმა და სხვ.

საღამოს გამართვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ქალბატონებმა: ელ. სოლ. ასულმა გვარამაძისამ, ელ. დიმ. ჩაჩიბაიასამ, მელ. ივ. მეპურნოვისამ, ვარ. ივ. ბოდზიევისამ და ე. პ. მოზდოკელის ასულმა.

ქართველ მომღერალთა ხორომ: მ. ს. კუხიანიძის ლოტბარობით, ბ. ბ. ნ. ივ. ფხაკაძემ, კოსტ. სოლ. გვარამაძემ, ი. დ. მაისურაძემ, ნიკ. თედ. გუბნელოვმა, გ. ბ. ბარათაშვილმა, გრიგ. მიხ. ბურდულმა, ივ. ივ. ფიცხელაურმა, გ. გ. ბურდულმა, ის. ს. მესხიევმა, სტუდ. ედილაშვილმა, ზაქ. ლ. კიკნაძემ, ალ. გულბაათოვმა, ბ. ჯაჭვაძემ, პეტრე ფრიდონოვმა, პავლე მოსულიშვილმა, ვლ. ქუმსიევმა, მიხა ლომიძემ, ბ. ელერდაშვილმა და სხვ.

ყველა ზემოთ მოხსენებულ პირთ და აგრეთვე იმათაც, ვისი გვარები აქ უადგილობის გამო ვერ მოვიხსენიეთ და რომელთაც ხელი შეუწყეს საღამოს წარმატებას, ჩემდამო რწმუნებულის სკოლის მაგიერ ვუცხადებ უგულითადესს მადლობას.

კავკავის ქართულ სკოლის გამგე და სამზრუნველოს თავმჯდომარე პართენ ალ. გოთუა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 მარტს.

პეტერბურგი. 72 ტირაჟში 5% მეორე შინაგან სესხის უმთავრესი მოგებანი ჰხვდა შემდეგ ბილეთებს: ორასი ათასი მანეთი 10803/13; სამოც და თხუთმეტი ათასი 5364/43; ოც და ხუთი ათასი 16950/17; ორმოცი ათასი 8526/35; ათ-ათი ათასი მანეთი (თითოეულს)—11867/19; 14452/46; 6696/36; რვა ათასი მანეთი (თითოეულს) 11934/2; 10910/19; 1964/15; 18003/32; 13195/33; ხუთი ათასი მანეთი (თითოეულს) 226/43; 10930/20; 14511/19.

პეტერბურგი. პსკოვის სადგურთან ლიანდაგიდგან გადავარდა ვარშავიდგან პეტერბურგში მიმავალი სამგზავრო სწრაფი მატარებელი.

მოსკოვი აზნაურ სირინდაკებმა სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას შესწირეს 10,000 მან. სტიპენდიის დასაარსებლად. დღეს აქ დამარხეს პოლიციის მოსამსახურე (გოროდოვოი), რომელიც დაიღუპა თანამდებობის აღსრულების დროს. დიდის მთავრის ადიუტანტმა დაადვა გვირგვინი ზედწარწერით: „მოვალეობის ერთგულს აღმასრულებელს“.

ლონდონი. სამხედრო სამინისტროში პრეტორიიდგან მოსულ დეპეშიდგან სჩანს, რომ მეტუენი კლერკსდორპში მიუყვანიათ. ჯანზე კარგად არის.

ხარკოვი. ამ თვეში ხარკოვის სავაჭრო ბანკის სალიკვიდაციო კომისსია შეუდგება ფულის დარიგებას იმათ შორის, ვისაც ხსენებულს ბანკში ფული ჰქონდა შენახული; შესაძლებელია, რომ ზარალი ნაკლები აღმოჩნდეს, ვიდრე ეგონათ.

პეტერბურგი პეტერბურგში იწყება სამეცნიერო ფარმაციის წარმომადგენელთა კრება. თავმჯდომარედ იქნება პროფესსორი მენდელეევი.

2 მარტი.

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტროს აგენტი ლონდონიდგან იწერება, რომ მას მუდამ ეკითხებიან ინგლისელი ნარდად მოვაჭრენი და სთხოვენ მიასწავლოს მათ საიმედო ფირმები, რომლებთანაც მათ შეეძლოსთ აღებ-მიცემობა გამართონ ერბოთი, კვერცხით, ღორის ქონით, დაკლული ფრინველებით და ნანადირევით. რუსის ფირმებს, რომელთაც სურთ ასეთი წინადადებით ისარგებლონ შეუძლიანთ თავიანთი ადრესები შეატყობინონ ფინანსთა სამინისტროს აგენტს ინგლისში. უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ გლეხთაგან მათის ნაბატონარის მიწის დაფლობაზე ხნოვანობა უნდა გამოითვალონ იმ დროიდგან, როცა მათ მიიღეს დანნები შესყიდულს ანუ ანადელო მიწებზე.

ადესსა. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ყმაწვილ კაცთა დამსახიჩრებელთა სამხედრო ბეგრისაგან განსათავისუფლებლად და გადაუწყვიტა: ჯარის კაცს როიზს ზოგიერთ უფლებათა ახდა და დისციპლინალურს ბათალიონში ორი წლით ყოფნა, ფერშლებს ფუკსსა და კრიკს და ესიგმანს, რომელიც გასაწვევ ყმაწვილ კაცთა ჰმალავდა ერთი წლითა და ოთხი თვით დაპატიმრება, ფერშლებს შააპიროს და დიატლოვიცკის-კი ერთი თვით.

ბაქო. თავადია ობოლენსკის განკარგულებით და მის მიერ გაცემულის ფულით კომიტეტმა ააგო შემახაში მრავალი ფარდულები უღარიბეს ოჯახებისათვის, რომელნიც უთავშესაფაროდ იყვნენ დარჩენილნი. თავადმავე ნება დართო კომიტეტს დანარჩენ ორი-სამი ათასი უღარიბესი ოჯახებისათვის*ც იზრუნოს და იმათთვისაც ააშენოს ფარდულები; ამ საგნისათვის მაზრის კომიტეტმა გამოსთხოვა გუბერნიის კომიტეტს ხუთასი ათასი ფიცარი. თავადის შემახაში ჩამოსვლამ ერთობ გაამხნევა სოფლელნი და შემახელები. იმათ დაინახეს რომ სათაყვანებელი ხელმწიფე მომავალშიაც არ მოაკლებს მათ თავისს მოწყალებას გაჭირვებულს მდგომარეობაში თავადი იყო რამდენსამე სოფელში, სადაც არიგებდა ხელმწიფის. ხვალ თავადი მიდის დაქცეულს სოფელში.

კაპშტადტი კვირას ხელ-ახლავ დაიძრა ჯარი; ინგლისის ჯარები მოფენილია ფრანკფორტიდგან ლონდლევმდე; ხუთი სხვა-და-სხვა გუნდ
დასავლეთისაკენ წავიდნენ ვოლვე
საკში; ორი აფიცერი ცხენოსან
რაზმით ათვალიერებდნენ რენო
სტერის ვაკეს ჯარებს წინ. ტყვე
აიყვანეს 9 ბური, რომელნიც ორ
მოებში იმალებოდნენ. უმთავრეს
ჯარი ბურებისა გაიქცა. ბურებმ
კვლავ გაირეკეს წინ საქონლის გა
ფთრებული ჯოგები ბლოკჰაუზებ
ზე გეილბრონისა და ვოლბეგე
შორის და არეულობის დროს ყვე
ლამ თავს უშველა.

ფაბრიკის ნიშანი

Заявлено отделу промышленности

ფაბრიკის ნიშანი

გაფრთხილება

თიმბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცისა** შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდად ისეთი

პაპიროსები,

რომლებიც გარეგან შეხედულობით ძრიელ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედწარწერით ანუ შრიფტით და იმავე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდად გავრცელებული არის.

ყოველისავე შეცდომის ასაცილებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზედ განსაკუთრებითი ნიშანი, რომელიც ნება-დართულია უმაღლეს მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მზგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვ ჩვენის ფირმი პაპიროსების მხმარებელთ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედწარწერას.

Н. И. БОЗАРДЖІАНЦЪ С-ми

(10—282—6)

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 იანვრისათვის 1902 წლისა.

აქტივი.

			მან.	კაპ.
I.	კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . .		41673	95
II.	მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . .		120	07
III.	„ „ „ა) ფრიდონოვისა ჲ ამხ.“ საბანკო კანტორაში .		209	09
IV.	პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ.		1000	
V.	სარგებლიანი ქაღ. საზოგადოების საკუთვნონი.			
	ა) უზრუნველ-ყოფილნი: . .	2920—28		
	ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: . .	7927—	10847	28
VI.	სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი		6309	49
VII.	განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი		279386	30
VIII.	სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი უძრავის ქონებით		500	—
IX.	პროტესტ ნაქმნარი თამასუქები. . . .		1000	—
X.	განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა ჲ სხ.		223	25
XI.	გირაოთი გაცემული სესხი:			
	ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . ,	13095—		
	ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. .	21011—		
	გ) საქონელზედ	27252—		
	დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. .	6864—	68222	—
XII.	დასაბრუნებელი ხარჯი.		63	10
XIII.	მოწყობა-მომართვა		2280	64
XIV.	კორესპონდენტები:			
	ა) იმათის ანგარიშით (loro)	36227—53		
	ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	4865—07	41092	60
XV.	გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი .		159	72
XVI.	სხვა-და-სხვა დებიტორები		297	74
XVII.	გარდასაცემი თანხა . . . , .		388	35
	ბალანსი		453773	58

პასივი.

			მან.	კაპ.
I.	თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 817 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან . . . . . . ,		87102	—
II.	სათადარიგო თანხა		6482	48
III.	შემოტანილი ფული:			
	ა მიმდინარე ანგარიშით . .	144690—79		
	ბ) ვადით	135549—		
	გ) უვადოდ	450—	280689	79
IV.	გარდასაცემი თანხა.		4142	30
V.	გარდასახდელი სარგებელი		1738	8
VI.	სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა		302	5
VII.	წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე 12 ჲ 13 §§-ის თანახმად.		300	—
VIII.	კორესპონდენტები:			
	ა) იმათის ანგარიშით (loro) . . .			
	ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	26697—27	26697	27
IX.	განსაკუთრებული ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყ.		186	2
X.	გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში		15000	—
XI.	გადანაღდება თამასუქებისა ტფილისის საკომერციო ბანკში		19140	—
XII	წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა. .		3272	3
XIII.	წმინდა მოგება 1901 წლისა		8719	7
	ბალანსი		453773	5
	პასუხის-მგებლობა 817 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდ.		783918	—
	საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახან ქონება		16100	—
	თამასუქები საკომისიოდ.		1963	3

Дозвол. Ценсурою. Тифл. 3 Марта 1902 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქ., № 117, 118. დროებითი რედაქტ. ა. სარაჯიშვილი. გამომც. ი. ჭავჭავა